

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

ელენე გულიაშვილი



“საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესი
ევროპერსპექტივის ქრილში“

ხელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი 2023

შინაარსი

თავფურცელი	1
სარჩევი	2
შესავალი	3
თავი 1. თეორიული საფუძვლები	7
1.1 თეორიული ჩარჩო	7
1.2 ლიტერატურის მიმოხილვა	9
თავი 2. მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებული რეფორმები ბოლო დეკადაში	12
2.1 რეფორმების პირველი ტალღა	13
2.2 რეფორმების მეორე ტალღა	15
2.3 რეფორმების მესამე ტალღა	16
2.4 რეფორმების მეოთხე ტალღა, შეჯამება	17
თავი 3. ევროკავშირის რეკომენდაციები და შედეგები	19
3.1 19 აპრილის შეთანხმება და 20-21 წლების ცვლილებების პაკეტი	19
3.2 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა	23
3.3 12 რეკომენდაცია ევროკომისიისგან	24
3.4 სამოქმედო გეგმა	26
დასკვნა	29
გამოყენებული ლიტერატურა	30

აბსტრაქტი

მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფა სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ერთერთი უმთავრესი საძირკველია. გასული ათწლეულის მანძილზე საქართველოში მართლმსაჯულების სისტემა მრავალი ცვლილებისა და ასევე კრიტიკის ობიექტი გახდა. სასამართლო სისტემამ განიცადა სხვადასხვა სახის ფორმირება და განხორციელდა რეფორმების რამდენიმე ტალღა, ცვლილებები კი დღემდე გრძელდება, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის პროდასავლური კურსი თავისთავად ქმნის ვალდებულებას, ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურები იყოს მაქსიმალურად გამართული და ახლოს მყოფი ევროპულ სტანდარტებთან. ევროინტეგრაციის თვალსაზრისით, შესაძლოა ითქვას, რომ სასამართლო სისტემის რეფორმირება დღესდღეობით საქართველოში ერთერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა.

შესავალი

თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით კი, ალბათ, პოსტსაბჭოთა სივრცეში ნათლად დავინახეთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია დასავლეთის, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა და ევროინტეგრაციის აშკარა უპირატესობები. ჩვენმა, ქართულმა საზოგადოებამ, გეოპოლიტიკური თუ სხვადასხვა ფაქტორების გამო ევროპეიზაციის მნიშვნელობა მალევე გააცნობიერა, პირად თუ სხვა პოსტ საბჭოთა ქვეყნების მაგალითზე, რომელთა ნაწილმაც მოახერხა გამხდარიყო ევროპული ერთობის წევრი, ჩვენ კი ამ მიზნისკენ უკვე ბევრი წელია მივიწევთ. რას შეცვლის ევროინტეგრაცია ჩვენს რეალობაში? შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ევროპული მომავალი უკეთესი განათლების, თავისუფლების, ადამიანის უფლებების დაცვის, სოციალური კეთილდღეობის ხარისხის აწევის, მეურნეობისა და წარმოების განვითარების, უკეთესი მართლმსაჯულებისა და სხვა არაერთი გაუმჯობესებული სფეროს საწინდარია. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას უკვე თითქმის სამი ათწლეულია ღიად დასავლური კურსი აქვს აღებული, რასაც

მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ერთხმად მხარს უჭერს და განსაკუთრებით ბოლო წლებში, საზოგადოება ღიად და ცალსახად მოუწოდებს ქვეყნის მმართველ ძალებს არ გადაუხვიოს არჩეულ ორიენტაციას, რათა ქვეყანამ საბოლოოდ მიაღწიოს დასავლური საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების სრულფასოვან წევრობას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანაში ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კონსენსუსი იკვეთება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამწუხაროდ რიგი გარემოებები ევროპულ საზოგადოებასთან მეტად დაახლოებაში ხელს უშლის ქვეყანას, იქნება ეს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და რუსეთის ნეგატიური როლი ამ პროცესებში, ევროკავშირთან საზღვრის არარსებობა თუ თავად ევროკავშირის სკეპტიკური დამოკიდებულება გაფართოებასთან დაკავშირებით, ფაქტია, რომ ამ საგარეო ფაქტორებისგან გამოწვეულ მიზეზებთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ისევ და ისევ ქვეყნის შიგნით დემოკრატიულობასთან დაკავშირებული პრობლემებია. საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყანა და თავისთავად ახალი დემოკრატიაა, რომელიც ბევრი გამოწვევის წინაშე დადგა წლების განმავლობაში, მიუხედავად ამდენწლიანი საგარეო პოლიტიკისა, რომელიც დასავლურ სამყაროში ინტეგრაციაზეა ორიენტირებული, ქვეყანაში დღემდე იკვეთება ის პრობლემები, რომელთა აღმოფხვრის გარეშეც ინტეგრაცია საკმაოდ მიუწვდომელი მიზანია და ამას დასავლელი პარტნიორებიც აქტიურად აღნიშნავენ. საქართველო არ გამოირჩევა მაღალი დემოკრატიულობის ხარისხითა და ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტებით, შესაბამისად მნიშვნელოვანია ქვეყანამ მითითებები მიიღოს უფრო წარმატებული დემოკრატიებისგან და აიღოს მაგალითი, რათა ამ მეთოდებისა და პრინციპების წარმატებული იმპლემენტაცია განხორციელდეს ქვეყანაში. საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა 1992 წლიდან იწყება, როდესაც ევროგაერთიანებამ საქართველო აღიარა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და დაიწყო მასთან აქტიური თანამშრომლობა, მას შემდეგ საქართველომ მიაღწია ისეთ შედეგებს, როგორებიცაა ვიზალიბერალიზაცია, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება ევროპასთან, ასევე ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც თავისმხრივ საქართველოს აძლევს მითითებებს და ადგენს იმ სფეროებს, რომლებშიც უნდა გატარდეს რეფორმები

ევროკავშირის ხელშეწყობითა და დახმარებით, ამ პროცესების მონიტორინგისთვის შეიქმნა ასოცირების საბჭო (Chronology of major events of EU – Georgia cooperation, Ministry of foreign affairs of Georgia). ასოცირების ხელშეკრულებით დადგენილ საჭირო რეფორმებს მმართველი ძალა ეტაპობრივად მისდევს და ცდილობს განხორციელებას, 2022 წელს კი, რიგი საგარეო ფაქტორებიდან გამომდინარე (რუსეთ-უკრაინის ომი), საქართველოს ხელისუფლებამ დაჩქარებულად გააკეთა განაცხადი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, რის საპასუხოდაც სახელმწიფომ ევროკავშირისგან მიიღო 12 პუნქტიანი გეგმა და რეკომენდაცია, რომ ქვეყანას კანდიდატის სტატუსი ამ გეგმის შესრულების შემდეგ მიენიჭოს. ზემოაღნიშნული 12 პუნქტიანი გეგმა მოიცავს სხვადასხვა სფეროებსა და დემოკრატიის ლაფსუსებს, როგორებიცაა პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულება, დეოლიგარქიზაცია, საარჩევნო და სასამართლო რეფორმები და ა.შ. ფართო, ინკლუზიური და მრავალპარტიული კონსულტაციების შედეგად გამჭვირვალე და ეფექტური სასამართლო პრაქტიკისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, ასევე სასამართლოს მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და ხელისუფლების დანაწილების უზრუნველყოფა ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები პუნქტია, რომელიც ევროკომისიამ შეადგინა, რომელიც ასევე მოიცავს მოსამართლეთა და გენერალური პროკურორების დანიშვნის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებსა და უმაღლესი იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების საკითხებს, რომლებიც არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებსა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. (The twelve priorities from European Commission)

სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემები და აღმოფხვრის გზების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი მეტად აქტუალური გახდა ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის წარდგენის შემდეგ, თუმცა საკითხის აქტუალობას არა მხოლოდ ზემოაღნიშნული გეგმა, არამედ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი რეფორმა და ცვლილება განაპირობებს, რომელთა ნაწილმაც საზოგადოებაში არაერთხელ დაიმსახურა ნეგატიური შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო რეფორმები ბოლო ათწლეულის მანძილზე რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, გარე და შიდა გავლენების ფაქტორი და კორპორატივიზებული ხასიათის საფრთხეები აღმოუფხვრელი

რჩება, რომელიც მეტწილად უმაღლესი იუსტიციის საბჭოს მიემართება, რომლის ძალაუფლების შეზღუდვისკენ არცერთი რეფორმა არ ყოფილა ორიენტირებული. (საქართველოს სასამართლო სისტემის ნაკლოვანი რეფორმები და სისტემური ცვლილებების საჭიროება, ანა პაპუაშვილი, 2022) ევროკომისიის მოლოდინები კი სწორედ იუსტიციის საბჭოს ხელისუფლების შესუსტებას მიემართება, რაც შემდგომ ხელს შეუწყობს ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობის ინდივიდუალურად გაზრდას, რათა შემცირდეს პარტიული ზეწოლა და გავლენები მართლმსაჯულების ორგანოებზე. იუსტიციის საბჭოს ძალაუფლების შეზღუდვა ხელს შეუწყობს პლურალიზმის გაძლიერებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. მოლოდინები ასევე შეეხება პროკურორებისა და მოსამართლეების დანიშვნის პროცედურებისა და კრიტერიუმების ცვლილებას (ევროკავშირის 12 პირობის შესრულების მდგომარეობა, ღია საზოგადოების ფონდი, 2023) რომლებზეც კვლევაში ვრცლად ვისაუბრებთ.

სასამართლო რეფორმა, ზოგადად, დემოკრატიული ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროცესია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, კვალიფიციურობა და ხელმისაწვდომობა, რეფორმები კი თავის მხრივ აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს როგორც ქვეყნისშიდა მოვლენებსა და საჭიროებებს, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს (სასამართლო სისტემის სტრატეგია - 2017-2021 წლების სამუშაო ვერსია). შესაბამისად, ქვეყანაში გატარებული მართლმსაჯულების რეფორმები მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებთან დაახლოებასა და მათ სტანდარტებთან შესაბამისობაში ყოფნას.

ევროინტეგრაცია, ჩვენი პოლიტიკური კურსის მიხედვით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი და შეძლებისდაგვარად მოკლევადიანი გეგმაა. **კვლევის მიზანია** დადგინდეს სასამართლოს რეფორმირების როლი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში. **კვლევის ამოცანებია** შევისწავლოთ სასამართლო რეფორმის დინამიკა, ვიკვლიოთ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, დავადგინოთ, თუ რა გავლენა აქვს მართლმსაჯულების რეფორმას ევროკავშირში გაწევრიანების პროცესებზე. **კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევის პროცესში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი

მეთოდი, კერძოდ, ექსპერტული ინტერვიუები. რესპონდენტთა შესარჩევად კი მივმართავთ არაალბათურ, მიზნობრივ შერჩევას. **ჰიპოთეზა:** რაც უფრო წარმატებით ხორციელდება ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი რეფორმები, კვლევის ირგვლივ კი, კერძოდ, სასამართლო რეფორმა, მით უფრო იზრდება ჩვენი სახელმწიფოსთვის ევროკავშირის წევრობის შესაძლებლობა. კვლევაში გამოყენებულია ინსტიტუციონალიზმის თეორია, გამოყენებული ლიტერატურა ძირითადად მოიაზრებს არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებსა და კვლევებს. სტრუქტურულად ნაშრომი იყოფა სამ თავად.

1. კვლევის თეორიული საფუძვლები

1.1 კვლევის თეორიული ჩარჩო

ევროკავშირის სურვილს, დაამყაროს მეგობარ და წევრ სახელმწიფოებში ერთსა და იმავე იდეალებსა და რწმენებზე დაფუძნებული სისტემა, იქნება ეს ადამიანის უფლებების დაცვის, მართლმსაჯულების, დემოკრატიულობისა თუ საარჩევნო სისტემების თვალსაზრისით და ა.შ. შეგვიძლია შევხედოთ ინსტიტუციონალიზმის პრიზმიდან, განსაკუთრებით კი ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის, რომელიც საერთაშორისო ინსტიტუტებს მოიაზრებს როგორც მედიატორსა და დამაკავშირებელ ძალას სახელმწიფოებს შორის, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ სახელმწიფოთაშორისი პრობლემების გადაწყვეტის მოძებნაში. დღესდღეობით მსოფლიოში დამყარებული სახელმწიფოთა კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების გამო, საერთაშორისო დამკვირვებლების როლი უფრო და უფრო გაიზარდა სამართლიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით (Grieco, Joseph M., and G. John Ikenberry. *State Power and World Markets: The International Political Economy*. New York: W.W. Norton., 2003. p 116). რაც შეეხება კონკრეტულად ევროკავშირში ძალაუფლების დელეგირებას, რომელსაც მკვლევარები ზენაციონალურ ხელისუფლებას

უწოდებენ, უპრეცედენტოდ მრავლისმომცველი აღმოჩნდა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, შესაბამისად, ინსტიტუციონალისტები თვლიან, რომ წევრი სახელმწიფოები ე.წ. „ქოფი ფეისთის“ პრინციპით მუშაობენ ევროკავშირში და აღიარებენ ორგანიზაციის რეზონანსულ მმართველობას, ასევე ცდილობენ აღმოფხვრან შეუსაბამობები ეროვნულსა და ევროპულს შორის (The Process of European Integration Through the Lenses of Institutionalism , albert hayrapetyan, 2020). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წევრი და კანდიდატი სახელმწიფოები, ასევე ის ქვეყნები, რომლებსაც სურთ კანდიდატის სტატუსი, მაქსიმალურად ცდილობენ წარმატებული ინსტიტუციებისგან და ზენაციონალური ხელისუფლებისგან აიღონ მაგალითი და „დაემსგავსონ“ მათ, რათა შეძლონ გახდნენ „თანასწორნი“ და სრულფასოვანი წევრები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ალიანსების. ევროკავშირი კი თავის მხრივ ყველაზე მჭიდროდ ინსტიტუციონალიზებული ორგანიზაციაა მსოფლიოში, მკვლევრები კი ხაზს უსვამენ, რომ ინსტიტუციონალისტური ანალიზის ცნებები გამოიყენება ორივესთვის, ევროკავშირის საერთაშორისო დონეზე და ასევე წევრი ქვეყნების დონეზე, რომლებშიც ზემოაღნიშნული მედიატორული გავლენა შიდა ინსტიტუტებში გვეხმარება ევროპეიზაციის მოდელის ახსნაში წევრსა და კანდიდატ ქვეყნებს შორის. მკვლევრები ასევე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ისტორიული ინსტიტუციონალიზმის პრიზმიდან შეგვიძლია დავინახოთ ის ისტორიული და მემკვიდრული ნორმები და სტანდარტები, რომლებიც მცირე წინააღმდეგობაში მოდის ევროპულ სტანდარტებთან და მეტად ეროვნული და უნიკალურია, თუმცა ახალი ნორმები მეტად შეესაბამება და თავისუფლებას უტოვებს ეროვნულ ტრადიციებს, ასევე თანამედროვე დემოკრატიების ელიტები ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო სოციალურმა სწავლებებმა და ლეგიტიმური ნორმების გავრცელებამ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კომუნისტურიდან ევროპულ პოლიტიკაზე გადასვლაში და რიგი პოსტსაბჭოთა ქვეყნების შიდა პოლიტიკის განვითარებასა და დახვეწაში, აშკარაა, რომ ევროკავშირის სტანდარტები რაციონალურ სტიმულს იძლევა შიდასახელმწიფოებრივ საქმიანობებში, რათა აქტორებმა გაატარონ რეფორმები ევროკავშირის წევრობის სანდო პერსპექტივის

მოლოდინში. (The New Institutionalisms and European Integration Mark A. Pollack, Temple University 2008, Pg.14) ზემოაღნიშნული სწორედ ის გამოწვევაა, რომელიც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგშიც დგას.

1.2 ლიტერატურის მიმოხილვა

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ბოლო წლების განმავლობაში მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია და ასევე ბევრი მკვლევარი ცდილობს გაამახვილოს ყურადღება სასამართლო რეფორმების აუცილებლობასა და უკვე გატარებული რეფორმების აკარგიანობასა და შედეგებზე, აქედან გამომდინარე, ბევრი კვლევა და პოლიტიკური ნარკვევი გვაქვს ხელთ, რომელზე დაყრდნობითაც, შეგვიძლია, შევიქმნათ ობიექტური წარმოდგენა იმაზე, თუ კონკრეტულად რას გვავალებს 12 პუნქტიანი გეგმა და სასამართლო სისტემის თვალსაზრისით რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი სახელმწიფო.

ჩვენი დასავლელი პარტნიორების პოზიციის გააზრების თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო ნაშრომია „საქართველო გარდამავალ პერიოდში“, რომელიც თომას ჰამარბერგს ეკუთვნის, ევროკავშირის სპეციალურ მრჩეველს საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში. კვლევა საკმაოდ ინფორმატიულია იმ თვალსაზრისით, რომ წარმოადგენს უშუალოდ ჩვენი დასავლელი პარტნიორის დაკვირვებასა და შეფასებებს, ასევე მოიცავს რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. მართალია ნაშრომი ძველია და 2013 წელს არის შექმნილი, რაც კვლევის ერთადერთ მინუსად მიმაჩნია, თუმცა, ვფიქრობ, პასაჟი „ინსტიტუტების მშენებლობა მომავლისთვის“ საკმაოდ მნიშვნელოვანია კვლევის პროცესში და გვაძლევს სწორხაზოვან ინფორმაციას, თუ რას გვირჩევენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები და შეგვიძლია შემდგომ ვიმსჯელოთ თუ რა შედეგზე გავიდა სახელმწიფო ამ ინფორმაციასთან მიმართებაში.

მართლმსაჯულების სისტემის ხარვეზებსა და მიღწეულ შედეგებზე და ზოგადად, ქართული სასამართლო სისტემის მიმოხილვის თვალსაზრისით კვლევაში

გამოყენებულია ნაშრომი „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში“, რომელიც მომზადებულია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ USAID-ის ხელშეწყობით. კვლევა შეეხება იმ რეფორმებსა და სტრატეგიებს, რომელიც სასამართლო სისტემაში 2013 წლიდან 2021 წლამდე გატარდა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომელზეც არსებობს ანტისახელისუფლებო სტერეოტიპი, მკვლევარები შესავალშივე უსვამენ ხაზს, რომ ნაშრომი არ ემსახურება რეფორმებისა და არსებული მდგომარეობის კრიტიკას ან დადებითად შეფასებას და ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ რეფორმის აღწერას. რაც ერთი შეხედვით, კვლევისთვის საკმაოდ გამოსადეგი და ობიექტური წყაროა, თუმცა ნაშრომის გაცნობისთანავე იგრძნობა მშრალად და მხოლოდ ფაქტებით გადმოცემა სასამართლო სისტემის მდგომარეობის, თუმცა აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი აღნიშნული კვლევის მკაფიოობას, მკვლევარები არ ორიენტირდნენ რეფორმის ყველა ნიუანსზე და უმნიშვნელო ცვლილებაზე, არამედ შეეხნენ მთავარ სისტემურ ცვლილებებს, რომლებმაც რეალური კვალი დატოვეს მართლმსაჯულების სისტემაზე. ნაშრომში ცალცალკე არის მიმოხილული სასამართლო რეფორმის თითოეული ტალღა, იუსტიციის საბჭო, პლენუმი, მოსამართლეების დანიშვნის წესი და ა.შ., რაც საკითხის გააზრებას მეტად თანმიმდევრულს და მარტივს ხდის.

შემდეგი ნაშრომი რომელიც შინაარსითა და აგებულებით საკმაოდ გავს ზემოაღნიშნულ კვლევას არის „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“, რომელიც მომზადებულია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ ევროკავშირის დაფინანსებითა და ხელშეწყობით 2019 წელს, თუმცა იგი ყველაზე მნიშვნელოვან და შედეგობრივ, მესამე ტალღას უკავშირდება მეტწილად, რომელიც რეფორმების პაკეტიც მოიცავს საქმეთა განაწილების ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვას, ასევე მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ კვლევის ავტორები ამ ცვლილებებს პოზიტიურს და პროგრესულს უწოდებენ და ნაშრომში არ იკვეთება უშუალოდ კანონპროექტის კრიტიკა, თუმცა განხილულია უკვე პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები, რაც ვფიქრობ, კვლევას ამომწურავს და საკვლევად გამოსადეგს ხდის ობიექტურობისა და პრაქტიკაში

განხორციელებადობის განხილვის გამო. მაგალითად, საქმეების ელექტრონული განაწილება მისასაღმებელი ცვლილებაა, თუმცა რეგიონებში მოსამართლეთა სიმცირის გამო გამორიცხავს შემთხვევითობას და ა.შ. (სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - EMC, 2019. P.10)

ერთ-ერთი ყველაზე კონკრეტული და საკვლევ საკითხთან სრულ შესაბამისობაში მყოფი კვლევა, რომელიც გამოყენებულია ნაშრომში არის „ევროკავშირის 12 პირობის შესრულების მდგომარეობა“, მომზადებული რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. დოკუმენტში საკმაოდ ლაკონური ენითა და საზოგადოებისთვის მარტივად აღსაქმელი ენით არის გამოხატული ის მოთხოვნები, რომლებიც 12 პუნქტიანი გეგმის თანახმად აქვს ევროკავშირს ჩვენს მიმართ და ასევე ის თუ რა ეტაპზე ვიმყოფებით ჩვენ გეგმის განხორციელების თვალსაზრისით. რა არის უკვე გამოსწორებული, რა ნიუანსებზე გვაქვს გასამახვილებელი ყურადღება და ა.შ. ბუნებრივია, საკვლევითი საკითხიდან გამომდინარე ჩემი ყურადღებაც უშუალოდ სასამართლო რეფორმის განხილვისკენ იყო მიმართული და ვფიქრობ, დოკუმენტში მოკლედ თუმცა ამომწურავად არის განხილული ის მოლოდინები, რაც ევროკავშირს აქვს ჩვენს მიმართ და ასევე პუნქტებად არის განხილული ჩვენს მიერ შესრულებული, შესრულების პროცესში მყოფი და შეუსრულებელი მისიები. მსგავსი სახის კვლევაა ასევე „საქართველოს სასამართლო სისტემის ნაკლოვანი რეფორმები და სისტემური ცვლილებების საჭიროება“, მომზადებული ფონდი ღია საზოგადოების მიერ, რომელიც მოცულობით ასევე პატარაა, თუმცა აქცენტები სწორად და მკაფიოდ არის დასმული და ზოგად სურათზე ობიექტურ წარმოდგენას გვიქმნის. აღნიშნული ნაშრომი ერთადერთია, რომელიც პირდაპირ სვამს საკითხს: „რა გაკეთდა არასწორად?“ (საქართველოს სასამართლო სისტემის ნაკლოვანი რეფორმები და სისტემური ცვლილებების საჭიროება - ღია საზოგადოების ფონდი, ავტორი ანა პაპუაშვილი, 2022 წელი, გვ. 4) ვფიქრობ, აღნიშნული პასაჟი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება კვლევის პროცესში, ხარვეზების გაანალიზების თვალსაზრისით. ასევე, მისაღებია, რომ ნაშრომში ობიექტურ კრიტიკას მოსდევს მკვლევრების მიერ

შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა, რომელიც, ვფიქრობ, მეტ სარწმუნოებას სძენს კვლევას და სანდოობას იწვევს, ასევე პრაქტიკაში გამოსადეგს ხდის.

გამოყენებული ლიტერატურა რომ შევაჯამოთ, შესაძლოა ითქვას, რომ კვლევა არ ეყრდნობა ფუნდამენტურ ნაშრომებს, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე. ლიტერატურა ძირითადად მოიცავს კვლევებსა და ანგარიშებს, რომლებიც ბოლო 10 წლეულის განმავლობაში გამოქვეყნდა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. თითოეული ანგარიში საკმაოდ ამომწურავად პასუხობს საკვლევ კითხვებსა და ამოცანებს, არ არის მიკერძოებული ხასიათის და ობიექტურად აფასებს პროცესებს, რაც ვფიქრობ, ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

2. მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებული რეფორმები ბოლო დეკადაში

დემოკრატიულ სამყაროში, სასამართლო, ძალაუფლების დანაწილების შედეგად მიღებული სწორედ ის შტოა, რომელიც თავისი არსით ყველაზე მეტად მოითხოვს გამართულობასა და თავისუფლებას, რადგან სწორედ სასამართლოს აკისრია ფუნქცია, დაიცვას ადამიანების უფლებები და თავისუფლებები, დაიმსახუროს მოქალაქეების ნდობა და ღირსეულად დაიცვას ანგარიშვალდებულებებისა და გამჭვირვალების ის სტანდარტები, რომლებსაც დემოკრატიული სამყარო ერთხმად აღიარებს.

დამოუკიდებელი და გამართული სასამართლო განუზომლად მნიშვნელოვანია სახელმწიფოში, რადგან იგი წყვეტს ადამიანების ცხოვრებასა და ბედს, ეს ყოველივე კი ხდება სახელმწიფოს სახელით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს შეგრძნება, რომ სახელმწიფო მას არ ეპყრობა უსამართლოდ და მისი უფლებები დაცული და აღიარებულია, მის ბედს არ გადაწყვეტენ არაკომპეტენტური, მიკერძოებული ან თანამდებობით ბოროტად მოსარგებლე პირები. რასაკვირველია, ხარისხიანი და თავისუფალი სასამართლოს ჩამოყალიბება, განსაკუთრებით ახალი დემოკრატიისათვის, არ არის ხანმოკლე და უმტკივნეულო პროცესი. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე

ქართული მართლმსაჯულების სისტემა ყოველთვის ობზერვაციისა და კრიტიკის საგანი იყო, არა მხოლოდ ჩვენი პერსპექტივიდან, არამედ ჩვენი არჩეული დასავლური პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარეც, გამომდინარე იქიდან, რომ თუ გვინდა გავხდეთ ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, ჩვენი სახელმწიფო ორგანოები უნდა აკმაყოფილებდნენ სტანდარტს, რომელსაც უკვე მრავალი წელია გვიწესებენ და რომლისკენაც მიგვითითებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები.

ქართული სასამართლო სისტემა რომ ეტაპობრივად განვიხილოთ, აუცილებლად დავინახავთ იმ ხარვეზებსა და დემოკრატიულობის რელსებიდან ეტაპობრივ ამოვარდნას, რომელმაც საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა კრიტიკის ობიექტად აქცია. კვლევის ერთერთი ამოცანა სწორედ ბოლო წლებში სასამართლო რეფორმების შეფასება და გაანალიზებაა, რათა დავადგინოთ კორელაცია მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებასა და სახელმწიფოს ევროკავშირში ინტეგრაციას შორის, თუ რატომ გვიმახვილებენ ყურადღებას ევროპული ქვეყნები მათ შორის სასამართლო ხარვეზებზე. კვლევის ფარგლებში ჩატარებულია ორი ინტერვიუ, მათ შორის ერთ-ერთი ქალბატონ ნაზი ჯანეზაშვილთან, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრია და დღესდღეობით მუშაობს სწორედ ევროკომისიის მიერ სასამართლოს ირგვლივ გაცემულ რეკომენდაციებზე, მანდ დააარსა სასამართლო სადამკვირვებლო ორგანო „სასამართლო გუშაგი“. რესპონდენტს, გამომდინარე მისი საქმიანობიდან, ვთხოვე დაესვა ძირითადი აქცენტები, თუ რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როდესაც ვსაუბრობთ სასამართლო რეფორმის აუცილებლობაზე ჩვენი დასავლელი პარტნიორების გაცემული მოთხოვნების საფუძველზე, შედეგად მივიღეთ სამი ძირითადი კომპონენტი, სასამართლო სისტემის სტრატეგიის შემუშავება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა და ვენეციის კომისიის საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. ძირითადად, ყველა რეკომენდაციაში ყურადღება გამახვილებულია იუსტიციის საბჭოს გავლენებსა და მოსამართლეების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაზრდაზე, რეფორმების მიმოხილვისას, ვეცდები, ყურადღება სწორედ ამ ასპექტებზე გავამახვილო.

2.1 რეფორმების პირველი ტალღა

2013 წლიდან დღემდე, განხორციელდა სასამართლო რეფორმების 4 ტალღა. რეფორმირების ოთხივე ტალღა, თეორიულად, ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებებსა და პრაქტიკებს, რომლის მიზანიც საკანონმდებლო ჩარჩოს მაქსიმალურად დახვეწაა. რეფორმების პირველი ტალღა, რომელიც 2013 წელს დაიწყო, მიზნად ისახავდა სასამართლოს რეორგანიზაციას და იუსტიციის საბჭოსთან დაკავშირებით საკმაოდ პროგრესულ იდეებს, თუმცა ხაზი უნდა გავუსვათ, რომ აღნიშნული პირველი ტალღის რეფორმის თავდაპირველი ვერსია ვენეციის კომისიამ ხარვეზულად მიიჩნია და პარლამენტს კანონპროექტის დამტკიცება სახეცვლილი ფორმით მოუწია, საბოლოოდ რეფორმა ითვალისწინებდა რამდენიმე ცვლილებას, კერძოდ, იუსტიციის საბჭოში მოსამართლე და არამოსამართლე წევრების შერჩევის წესის ცვლილებას, საბჭოში წევრთა არჩევისთვის დადგინდა ფარული კენჭისყრა, საბჭოს მოსამართლე წევრთა არჩევის უფლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად კონფერენციის წევრებს მიენიჭათ, ხოლო საბჭოს არამოსამართლე წევრებს პარტიული კვოტების ნაცვლად პარლამენტის შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერა დასჭირდებოდათ¹, ასევე საბჭო ვეღარ მიიღებდა მნიშვნელოვან საკადრო გადაწყვეტილებებს საბჭოს წევრების სრული შემადგენლობიდან 2/3 ის თანხმობის გარეშე, გადაწყვეტილება კი აუცილებლად მიიღებოდა ფარული კენჭისყრით. (მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021, გვ. 10-11) კვლევის ფარგლებში ჩაწერილია ინტერვიუ ექსპერტთან, სააკელაციო სასამართლოს ყოფილ მოსამართლესთან და ამჟამად მოსამართლეთა ნებაყოფლობითი გაერთიანების, „მოსამართლეთა ერთობის“ თავმჯდომარესთან, ქალბატონ მანა ბაქრაძესთან, რომელმაც საკუთარი აზრი რეფორმის პირველ ტალღასთან დაკავშირებით დააფიქსირა. ექსპერტი ამბობს, რომ პირველი ტალღის მიერ ინიცირებული ასპექტები ცალსახად პოზიტიური და პროგრესული იყო, რომლის საბოლოო ვერსიაც ესადაგებოდა ვენეციის კომისიის მოთხოვნებსა და ევროპულ სტანდარტებს, კერძოდ ხაზი გაუსვა პოზიტიურ ცვლილებებს მოსამართლეთა არჩევის წესსა და ფარული კენჭისყრის შემოღების თვალსაზრისით,

¹ თუმცა კანონმა შეზღუდა არამოსამართლე წევრების პარლამენტის მიერ არჩევის რაოდენობა, 6 დან მხოლოდ 4 არამოსამართლე წევრის არჩევის უფლებით.

რადგან, შეიქმნა მეტად კონკურენტუნარიანი გარემო იუსტიციის საბჭოში, ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 2013 წლის რეფორმის შედეგად შესაძლებელი გახდა ფოტო და აუდიო ჩანაწერის გაკეთება სასამართლოში, რამაც მეტი გამჭვირვალობა და სანდოობა შესძინა სასამართლოს. ასევე საუბრობს მივლინების წესზე, რომელიც შეიზღუდა და საგამონაკლისო გახდა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ეს წესი წინააღმდეგობაში მოდიოდა მოსამართლის მუდმივობის საკითხთან.²

2.2 რეფორმების მეორე ტალღა

რაც შეეხება რეფორმების მეორე ტალღას, მას მიეკუთვნება 2014 წლიდან შესული კონსტიტუციური ცვლილება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შესახებ, თუმცა განისაზღვრა სამწლიანი „გამოსაცდელი“ ვადა მოსამართლის უვადოდ დანიშვნამდე, ამის გამო დადგინდა მოსამართლეთა კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმები, ამ შეფასებების შემდეგ კი უკვე იუსტიციის საბჭოს მიეცა უფლება განიხილოს, დანიშნოს თუ არა მოსამართლე უვადოდ. შეიქმნა ასევე საკვალიფიკაციო პალატა, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას იძლეოდა. (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი „განხორციელებული რეფორმა“). აღნიშნული სამწლიანი ვადის დაწესების იდეას, რომელიც ჯერ კიდევ 2010 წლიდან არსებობდა, თავიდანვე არ ემხრობოდა ვენეციის კომისია (European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Final Opinion on the Draft Constitutional Law on Amendments and Changes to the Constitution of Georgia”, 2010, para. 88-91.), თუმცა 2014 წელს ეს ცვლილება მაინც შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილება ექსპერტების მიერ საგანგაშოდაც კი შეფასდა, რადგან გამოსაცდელი ვადის დროს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმები მოიცავდა სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსის შეფასებასაც, რომელსაც შეუძლია ახსნა-განმარტების სახეც კი მიიღოს, რაც უარყოფითად აისახება დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ფაქტორზე. მსგავსი სახის მონიტორინგი

² მოსამართლეთა მივლინება ხშირად ითვალისწინებდა მოსამართლეების 2 და 4 წლით მივლინებით გაშვებას, ამ დროში კი იუსტიციის საბჭო ხშირად ცდილობდა ახალი მოსამართლე დაენიშნათ, შესაბამისად, მივლინება უფრო სადამსჯელო დონის ძიების სახეს ატარებდა.

აკრძალულია როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო ნორმებით. გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, ამ აზრს იზიარებს როგორც ეუთო, ასევე ვენეციის კომისიაც. (კოალიციის პოზიცია მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნასთან დაკავშირებით, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე საქართველოსთვის, 2013წ.)

2.3 რეფორმების მესამე ტალღა

მესამე ტალღის რეფორმები საკმაოდ კონტროვერსიული აღმოჩნდა სასამართლო სისტემისთვის, ცვლილებები მრავლადაა, თუმცა აზრები სხვადასხვა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მესამე ტალღის რეფორმების შედეგად სამწლიანი გამოსაცდელი ვადისგან გათავისუფლდნენ უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, რომლებსაც ჰქონდათ სამ ან მეტ წლიანი გამოცდილება, ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის შესახებ კანონი უბრალოდ სრულად უნდა გაუქმებულიყო. (კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე საქართველოსთვის, მოტივირებული შენიშვნები, 2017 წ.) ასევე დაინერგა საქმეთა ელექტრონული შემთხვევითობის პრინციპით გადანაწილების სისტემა, რაც ერთი შეხედვით საკმაოდ მისაღები ცვლილებაა, რადგან უზრუნველყოფს საქმეთაწარმოების შემთხვევითობას და მიკერძოებულობის შანსს ბევრად ამცირებს, თუმცა, ექსპერტი ნაზი ჯანეზაშვილი ხაზს უსვამს, რომ ეს სისტემა არ ამართლებს პატარა ქალაქებსა და რაიონებში, რადგან ძალიან მცირე რაოდენობით არიან მოსამართლეები. ასევე საუბრობს მესამე ტალღის რეფორმებისგან გამოწვეულ ვიწრო სპეციალიზაციების პრობლემაზეც, კერძოდ, კონკრეტულ მიმართულებებში შეიქმნა ვიწრო სპეციალიზაციები, ორგანული კანონის თანახმად კი ვიწრო სპეციალიზაციებში შემადგენლობას განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, შედეგად კი მივიღეთ პრობლემა, რომ შემადგენლობაში მყოფ 3-4 მოსამართლეს შორის ნაწილდება ელექტრონულად საქმეები, ამ მოსამართლეებსაც კი ერთპიროვნულად თავმჯდომარე განსაზღვრავს. თუმცა მნიშვნელოვნად პოზიტიური ცვლილება იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების კონკრეტიზაცია და აღარ იყო ზოგადი, ბლანკეტური ნორმები, რომლებიც ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებდა თუ რა საკითხების

მიხედვით ხდებოდა მოსამართლეთა დისციპლინირება, მესამე ტალღის ცვლილებების შემდეგ კი სადისციპლინო სხდომების საჯაროდ ჩატარებაც კი გახდა შესაძლებელი. (ინტერვიუ მათა ბაქრაძესთან) თუმცა მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, აღნიშნული დისციპლინარული სამართალწარმოება შესაძლოა რისკი აღმოჩნდეს პარალელური მართლმსაჯულების განხორციელების სახით, რაც დღევანდელი რედაქციითაც არ არის პრევენცირებული. (სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2019 წ, გვ.52).

პოზიტიური მხარე რეფორმებისა იყო ის, რომ თავმჯდომარეების არჩევის უფლება უმაღლეს საბჭოს შეუნარჩუნდა, თუმცა საბჭოს არამოსამართლე წევრების დანიშვნა პარლამენტის წევრთა ორი მესამედის ნაცვლად სრული შემადგენლობის პრეროგატივა გახდა, მიზეზად კი დასახელდა „მეტი მოქნილობა და პროცესის გაჭიანურების პრევენცია“ (განმარტებითი ბარათი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე, 2015, გვ. 8).

2.4 რეფორმების მეოთხე ტალღა და შეჯამება

მართლმსაჯულების სისტემის მეოთხე ტალღა კი, რომელი ცვლილებებიც ძალაში 2019 წლის დეკემბერში შევიდა, გულისხმობდა რიგ ცვლილებებს: სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცესში საბჭოს დაევალა კონსულტაციების გავლა მოსამართლეებთან, განსაზღვრულ იქნა საბჭოს ანგარიშვალდებულება მოსამართლეების კონფერენციის წინაშე, შეიცვალა ინსპექტორის გადაყენების წესები და ა.შ., თუმცა აღნიშნული ცვლილებების პაკეტი რაიმე გარდამტეხი ხასიათის არ აღმოჩნდა და რეალური პრობლემები უცვლელი დარჩა, შესაბამისად ექსპერტების აზრით, მეოთხე ტალღას რაიმე სახის გაუმჯობესების მოლოდინი არ შეუქმნია.

(მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში, gyla, 2021, გვ. 16)

ინტერვიუს დროს ოთხივე ტალღის ცვლილებების ჯამური შეფასება ვთხოვე ორივე რესპონდენტს, რათა საბოლოოდ განგვესაზღვრა თუ რა მნიშვნელობის მატარებელი იყო აღნიშნული ცვლილებები ქართული მართლმსაჯულების სისტემის

გაუმჯობესების თვალსაზრისით და რამდენად ვიცავდით დასავლურ პოლიტიკურ ორიენტაციას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ნაზი ჯანეზაშვილის აზრით, ცვლილებები რეალურად არაფრის შემცვლელი აღმოჩნდა, რადგან ამხელა რესურსი და ძალისხმევა ფაქტობრივად მიზერული საკანონმდებლო ცვლილებებისთვის ჩაიდო. მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, რომლებიც ხშირად დადებითი და პოზიტიური ხასიათის იყო და წესით სარგებლიანი უნდა ყოფილიყო, ჩნდებოდა ამ ცვლილებების დამზღვევი მექანიზმები. მაია ბაქრაძე კი აღნიშნავს, რომ თავად ცვლილებების უმეტესობა ცალსახად პოზიტიურია და ამის არ აღნიშვნა შეუძლებელია, თუმცა რეფორმებს ყოველთვის აკლდა სისტემურობა და ატარებდა ფრაგმენტულ ხასიათს, სწორედ ამიტომ იყო მეტნაკლებად წარუმატებელი მათი იმპლემენტაცია რეალურ პრაქტიკაში. რეფორმების მთავარ ხარვეზად კი თვლის სასამართლოს შიდა კორპორატივიზმთან უბრძოლველობას და გავლენების აღმოუფხვრელობას. მისი აზრით, იუსტიციის საბჭოს დიდი ძალაუფლება შესაძლოა ბოროტად გამოიყენონ გარკვეულმა ჯგუფებმა, რომელიც შემდგომ უკვე კლანური მმართველობის საფუძველი შეიძლება გახდეს. საბოლოოდ კი იგი რეფორმებს ასე აფასებს: „იყო პოზიტიური ნაბიჯები, თუმცა არა იმის სამკურნალოდ, რაც გვჭირდა“. ასევე ვფიქრობ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევის დასკვნა, რომელიც აჯამებს ოთხივე რეფორმები ტალღას. რეფორმების ძირფესვიანად გამოკვლევის შედეგად ისახება ტენდენცია, რომ პირველი ტალღის შემდეგ, რომელიც ყველაზე ამბიციური და რადიკალური აღმოჩნდა, შემდეგი ნაბიჯები შედარებით სუსტი და რეალურ ხარვეზებზე არაორიენტირებული აღმოჩნდა და მეტად ორიენტირებული იყო უკვე არსებული ნორმების კლარიფიკაციაზე. ექსპერტების აზრით, პირველი ტალღის შემდეგ არცერთი ცვლილება აღარ ყოფილა ორიენტირებული უშუალოდ დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობასა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერებაზე, რეფორმების სტრატეგია რეალურად იყო ბუნდოვანი და რეალურად, ხელი შეეწყო მენეჯერულ, ადმინისტრაციულ პოზიციებზე მყოფი მოსამართლეების ძალაუფლების განმტკიცებას. (მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში, GYLA, 2021წ. გვ.71-72). კვლევის შემდეგ ეტაპებზე კი უკვე განვიხილავთ, თუ რა

შედეგები მოგვცა მართლმსაჯულების სისტემის ზემოთჩამოთვლილმა ცვლილებებმა და აღმოჩენილმა ხარვეზებმა ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

3. ევროკავშირის რეკომენდაციები და შედეგები

საქართველოს უკვე მრავალი წელია აღებული აქვს ღიად დასავლური პოლიტიკური ორიენტაცია და ქვეყნის ერთერთი უმთავრესი პოლიტიკური გეგმა სწორედ ევროინტეგრაციაა. ევროკავშირის წევრი ქვეყნობის უპირატესობები ჩვენს საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული და ვფიქრობ, ხელისუფლების გადაწყვეტილება, გაგვეკეთებინა განცხადება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვების შესახებ სრულიად გამართლებული და დროსთან მიმართებაში რელევანტურია.³

მიუხედავად ჩვენი გულწრფელი სურვილისა, ვიყოთ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი სახელმწიფო, ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხში მნიშვნელოვანი ხარვეზებია, აქ მოიაზრება სწორი სასამართლო რეფორმების გატარების აუცილებლობა, რომელზეც ჩვენი დასავლელი პარტნიორები უკვე დიდი ხანია რეკომენდაციებს გასცემენ ჩვენს მიმართ. მინდა კვლევის პროცესი არა უშუალოდ 12 პუნქტიანი გეგმის მიმოხილვით გავაგრძელო, რომელიც ჯერ კიდევ ამ წელს გასცა ევროკომისიამ და გულისხმობს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებასაც, არამედ ჯერ 19 აპრილის შეთანხმება და 20-21 წლის ცვლილებები მიმოვიხილო, რომელიც, სამწუხაროდ დასავლეთისთვის თითქმის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა.

3.1 19 აპრილის შეთანხმება და 20-21 წლების ცვლილებების პაკეტი

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმება⁴, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ხელისუფლება ვალდებული გახდა, შეეფასებინა სასამართლო რეფორმის ყველა ტალღა და წარმოედგინა ახალი, ინოვაციური სტრატეგიული გეგმა ხარვეზების აღმოსაფხვრელად და სასამართლოს დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალების

³ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, მოლდოვა-უკრაინა-საქართველოს ტრიო.

⁴ შემუშავებულ იქნა ევროკავშირის წარმომადგენლების მედიაციით

გასაზრდელად, მნიშვნელოვანი იყო მოწოდება, რომ აღნიშნული პროცესები განხორციელებულიყო ინკლუზიურად, რაც გულისხმობდა პარტიებს შორის თანამშრომლობას და პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვას. (მარიამ გობრონიძე, „19 აპრილის შეთანხმება - მართლმსაჯულების რეფორმის მორიგი გამოუყენებელი შესაძლებლობა,“ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, გვ. 4) ხელისუფლებამ კი პოლიტიკურად ნეიტრალური ინსტიტუტების შექმნის საკითხი დღის წესრიგიდან ამოიღო, ამავე წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა რიგი წესების დარღვევით ჩატარდა, რაც გულისხმობდა გაუმჭვირვალობას, დაჩქარებას და რამდენიმე ვაკანტური პოზიციის საერთოდ შეუვსებლად დატოვებას, აღნიშნულ პროცესებს მნიშვნელოვანი კრიტიკა მოჰყვა ევროსაბჭოსა და ევროკომისიისგან, ევროკავშირმა საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილა, რომ პროცესები თუ ასე გაგრძელდებოდა 75 მილიონიანი მიკროდაფინანსება ქვეყანაში აღარ გადმოირიცხებოდა, რადგან პროცესები აშკარად ეწინააღმდეგებოდა 19 აპრილის შეთანხმებას, მალევე ევროკავშირმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველო მიკროდაფინანსების მეორე ნაწილს აღარ მიიღებდა, რადგან ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო პირობების სათანადოდ შესრულება. (საქართველოს სასამართლო სისტემის ნაკლოვანი რეფორმები და სისტემური ცვლილებების საჭიროება, ღია საზოგადოების ფონდი, 2022წ, გვ.4) .

„ძალზედ იმედგაცრუებულნი ვართ ბოლო დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, რაც ძირს უთხრის რეფორმების ძალისხმევას, რაზეც 19 აპრილს შეთანხმება დაიდო. აშშ-მა, ევროკავშირთან პარტნიორობით მჭიდროდ ითანამშრომლა ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან ძლიერი, მრავალპარტიული შეთანხმების მისაღწევად იმისთვის, რომ გზა გახსნილიყო კრიტიკულად მნიშვნელოვანი მართლმსაჯულების და საარჩევნო რეფორმებისთვის.“ - ასე შეაფასა ამერიკელი სენატორების ჯგუფმა 19 აპრილის შეთანხმების ანულირების პრეცედენტი.⁵

მაია ბაქრაძის აზრით, 20-21 წლების მთავარი „შეცდომა“, რომელიც უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში, მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების

⁵ <https://bm.ge/ka/article/demokratiis-winsvlashi-marcsi-saqartvelos-nato-sa-da-eu-sgan-daashorebs---senatorebis-jgufi/88337/>

შეზღუდვაში მდგომარეობს. ექსპერტი ამბობს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის კანონში გაჩენილი ორი ერთმანეთის მსგავსი პუნქტი პოლიტიკური თვითგამოხატვის შესახებ სავსებით უადგილოა. ასევე „გაციმბირებად“ მოიხსენიებს მივლინებების 20-21 წლებში ისევ განახლებულ პრაქტიკას, იუსტიციის საბჭოს კი შეუძლია მიავლინოს მოსამართლე ჯამში 4 წლით მოსამართლის ნების გარეშე, დასაბუთება კი მდგომარეობს კონკრეტული სასამართლოს „გადატვირთულობაში“, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ თითქმის ყველა სასამართლო გადატვირთულია, იგი ამ დასაბუთებას ნაკლებად ენდობა. მაია ბაქრაძე საუბრობს ასევე სასამართლო კორპორატივიზმზე, რადგან 20-21 წლის ცვლილებების პაკეტმა ხელი შეუშალა იუსტიციის საბჭოში განსხვავებული შემადგელობების დამკვიდრებას, იხსენებს ასევე წინამორბედი რეფორმის ტალღებიდან კანონს, რომლის მიხედვითაც აიკრძალა ზედიზედ ორჯერ არჩევა საბჭოს წევრად ერთი კონკრეტული პირის, 20-21 წლის კანონმა კი კანონს სტატუს კვო აღუდგინა და მას შემდეგ ისევ შესაძლებელია ერთი და იმავე პირის ორჯერ არჩევა იუსტიციის საბჭოს წევრად, რაც დიდი უკან გადადგმული ნაბიჯია. იგი ასევე ხაზს უსვამს, რომ 20-21 წლის ცვლილებების პაკეტის წინააღმდეგ სამი საკონსტიტუციო სარჩელია შეტანილი, სახალხო დამცველის, მოსამართლეთა ნაწილისა და საპარლამენტო ოპოზიციის მიერ, ერთმანეთისგან სრულად დამოუკიდებლად. 20-21 წლების საკანონმდებლო ცვლილებების კრიტიკას იზიარებს ასევე ჩემი მეორე რესპონდენტი, ნაზი ჯანეზაშვილი, რომელიც ყველაზე დიდ ხარვეზად მოსამართლეთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საფუძველზე დისციპლინური პასუხისმგებლის არასწორი წესით შემოღებას მიიჩნევს. ექსპერტი ამბობს, რომ, მართალია, ვენეციის კომისიის თანახმად მოსამართლეებს უნდა დაეკისროთ დისციპლინური პასუხისმგებლობა თუ კი ისინი არღვევენ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, თუმცა აუცილებლად უნდა არსებობდეს დათქმა, რომ სამართლებრივ და მართლმსაჯულების საკითხებზე საუბარი არ ნიშნავს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევას, ხელისუფლებამ ვენეციის კომისიის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინა და კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, თუ კი მოსამართლე სასამართლო საკითხებზე სამეცნიერო ან ანალიტიკური სახით გამოთქვამს მოსაზრებას, მხოლოდ ეს გაათავისუფლებს დისციპლინური

პასუხისმგებლობისგან. რესპონდენტი წუხს, რომ უბრალოდ სოციალურ ქსელში მართლმსაჯულების საკითხებზე დაფიქსირებული აზრი მოსამართლეს ეთვლება, როგორც პოლიტიკური ნეიტრალიტეტის რღვევა, რაც არ შეესაბამება ვენეციის კომისიის სტანდარტებს და ამ კანონპროექტის გაგზავნა, ფიქრობს, რომ ისევ გამოიწვევს ვენეციის კომისიის უკმაყოფილებას.

2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ვენეციის კომისიამ არგუმენტირებულად გააკრიტიკა. პირველ რიგში შეეხო მოსამართლეთა ხელახალი წარდგინების წესს, რომელიც მთლიანობაში მართებულად მიიჩნია, თუმცა 20-21 წლის ცვლილებაში არსებული ზოგიერთი ნიუანსი ბუნდოვნად და გაურკვევლად მიიჩნია. კომისიამ ასევე გააკრიტიკა მოსამართლეთა მივლინების წესიც, რომელიც მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანასაც გულისხმობს. 4 წლით, მოსამართლის თანხმობის გარეშე მოსამართლის „მივლინება“ კომისიამ არათანაზომიერად შერაცხა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსამართლეთა ნებართვის გარეშე გადაყვანა მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებშია ნებადართული, ისიც მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღიარებისა და დასტურის შემდეგ. ვენეციის კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ იუსტიციის საბჭოს წევრების სრულ განაკვეთზე ხელახლა არჩევა თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული, რადგან წევრების ხელახალი არჩევა საფრთხეს უქმნის დამოუკიდებლობას, ასევე ხაზი გაუსვა მოსამართლის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის რღვევის შესახებ ჩანაწერში ცდომილებებს და კიდევ ერთელ შეგვახსენა, რომ მოსამართლეს აუცილებლად გააჩნია სიტყვის თავისუფლება, ასევე მოგვიწოდა, რომ მოსამართლეს არ უნდა შეეზღუდოს სრულად საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩარევა სამსახურეობრივი მოვალეობების მიღმა. (ვენეციის კომისია საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებებს აკრიტიკებს, civil.ge, 2022წ.) საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ 2021 წელი ევროკავშირის ფრონტზე საკმაოდ წარუმატებლად შედგა, რადგან მიზნებსა და ამოცანებს თავი ვერ გავართვით, დასავლეთისგან კი მხოლოდ კრიტიკა დავიმსახურეთ, მიუხედავად იმისა რომ მივიღეთ არაერთი გაფრთხილება და ასევე დიდი ძალისხმევა საარჩევნო და სასამართლო სისტემების რეფორმირების თვალსაზრისით დახმარებაში.

3.2 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა

დასავლეთის მოწოდებები სასამართლო რეფორმის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რეალურად, უკვე დიდი ხანია გვესმის. ყურადღება მინდა გავამახვილო თომას ჰამარბერგის ⁶ ნაშრომზე „საქართველო გარდამავალ პერიოდში“. ანგარიში 2013 წელსაა შესრულებული და ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი უკვე საუბრობს სასამართლო რეფორმის გარდაუვლობასა და აუცილებლობაზე, გვამღევეს რჩევებს და მითითებებს, რომლებიც რეალურად, არაფრით განსხვავდება დღევანდელისგან. ვფიქრობ, ეს ყოველივე მიუთითებს იმ ლოგიკურ დასკვნაზე, რომ მიუხედავად 2013 წლიდან მოყოლობული მრავალი რეფორმისა და ტალღისა, რეალური პრობლემები, რაზეც დასავლეთი უკვე მრავალი წელია მიგვითითებს, ფაქტობრივად ხელშეუხებელი დარჩა. მინდა მაგალითად მოვიყვანო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ რეკომენდაცია ზემოაღნიშნული ანგარიშიდან. თომას ჰამარბერგი აღნიშნავს, რომ იუსტიციის საბჭოსა და მისი თავმჯდომარის ხელში ზედმეტად დიდი ძალაუფლებაა მოქცეული, ასევე საუბრობს მოსამართლეთა შერჩევის და დანიშვნის პროცესზე, რომელიც არაგამჭვირვალედ ეჩვენება და ფიქრობს, რომ ნაკლებადაა ორიენტირებული კანდიდატების პირად თვისებებსა და კონტრიბუციაზე. იგი ცალსახად მიგვითითებდა, რომ აუცილებელია შემდეგი ნაბიჯები მიემართებოდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერებისაკენ და დროა განვახორციელოთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირეული რეფორმა, განსაკუთრებით კი მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების საკითხებში. (თომას ჰამარბერგი, „საქართველო გარდამავალ პერიოდში“, 2013წ, გვ. გვ. 18-19) ზოგადად, გასაკვირი არ არის, რომ ევროკავშირისა და დასავლეთის ყველა მოწოდება აკონკრეტებს ინკლუზიური მუშაობის ვალდებულებასაც, გასაკვირი არცაა, იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული ღირებულებები განსხვავებული აზრის მქონე პოლიტიკურ პარტიებთან თუ სამოქალაქო ჯგუფებთან თანამშრომლობის უნარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვფიქრობ, სამწუხაროდ, ინკლუზიური მუშაობა ჩვენს სახელმწიფოს არ გამოსდის.

⁶ თომას ჰამარბერგი - ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში.

2013 წლის ანგარიშის განხილვის შემდეგ, რომელიც აშკარად მოგვიწოდებდა იუსტიციის საბჭოს რეფორმირებისა და გავლენის შესუსტებისკენ, შეგვიძლია განვიხილოთ თუ რა შედეგზე გავედით 10 წლის განმავლობაში ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ. რესპონდენტი ნაზი ჯანეზაშვილი საუბრობს გასული წლის ვენეციის კომისიის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, რომელსაც თავადაც ესწრებოდა, ექსპერტი ამბობს, რომ ამ კონფერენციაზე ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ევროსაბჭოს ქვეყნებში მართლმსაჯულების საბჭოების ფორმირებას და ამ დისკუსიის მოსმენის შემდეგ დაასკვნა, რომ ერთიანი სტანდარტი თუ როგორ უნდა იყოს ფორმირებული უმაღლესი საბჭოები არ არსებობს, რადგან ზოგ ქვეყანაში არ ამართლებს ის მოდელი, რომელშიც იგულისხმება უმრავლესობაში საბჭოს მოსამართლე წევრების ყოფნა, მაგალითად საქართველოში, რადგან მოსამართლე წევრების უმრავლესობაში ყოფნა სასამართლო თვითმმართველობას კი არ აძლიერებს, არამედ შექმნა კორპორატივიზმი. იგი ფიქრობს, რომ ვენეციის კომისიის „სითამამიდან“ გამომდინარე, დასკვნა, რომ საქართველოს უმაღლეს იუსტიციის საბჭოში საჭიროა არამოსამართლე წევრების დიდი რაოდენობა, აბსოლუტურად მართებულია, თუმცა პრობლემის საბოლოო გადაჭრის ხერხს ვერც ამაში ხედავს, რადგან არამოსამართლე წევრთა არჩევაც ზედმეტად პოლიტიკურ პროცესს ჰგავს. მნიშვნელოვან პრობლემას ხედავს სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობის საკითხში მაია ბაქრაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და საჯაროობა შარლ მიშელის დოკუმენტით დაგვევალა, თუმცა დღემდე არ გვაქვს კარგი მოდელი შემოთავაზებული, დღეის მონაცემებით, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჯაროება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კანონიერად ძალაში შესვლის შემდეგ⁷, რაც საკმაოდ ხარვეზული ნაწილია კანონის.

3.3 ევროკომისიის 12 რეკომენდაცია

ევროპისა და საქართველოს ურთიერთკავშირი მოწოდებებისა და შესასრულებელი ვალდებულებების სახით საბედნიეროდ ამით არ ამოწურულა და

⁷ სანამ საქმე არ გაივლის ადმინისტრაციულ პროცესებს.

დღეს ყველაზე საპასუხისმგებლო დავალების წინაშე ვართ. საქართველომ განაცხადი გააკეთა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით, რაზეც ევროკომისიამ 12 პუნქტიანი რეკომენდაციებით გვიპასუხა. 12 რეკომენდაცია მოიცავს მრავალ სფეროსა და საკითხს, როგორებიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, დეოლიგარქიზაციის კანონი, პოლარიზაციისა და კორუფციის აღმოფხვრა და ა.შ., თუმცა, ვფიქრობ, ერთერთი ყველაზე კომპლექსური და მეტად სამუშაო ნაწილი სასამართლო სისტემის რეფორმის მოთხოვნაა. ევროკომისიის რეკომენდაცია სასამართლო ნაწილზე მოიცავს მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგიის შემუშავებას გამჭვირვალედ და მაქსიმალურად ეფექტურად. მოწოდება გვაქვს ამ პროცესების აუცილებლად ინკლუზიურად და პარტიათაშორისად განხორციელებისაკენ, ევროკომისია მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების ჯაჭვი იყოს სრულებითი, აბსოლუტურად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული, მიუკერძოებელი, სასამართლო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამომიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება, განსაკუთრებით კი ყურადღება გამახვილებულია უზენაეს სასამართლოზე. გადაიჭრას მოსამართლეთა ნომინირებასთან დაკავშირებით ყველა ხარვეზი (ეხება გენერალურ პროკურორსაც), გაატაროს უმაღლესი იუსტიციის საბჭოს საფუძვლიანი რეფორმა და დაინიშნონ საბჭოს დანარჩენი წევრები. ყოველი ზემოთჩამოთვლილი მოთხოვნა, რასაკვირველია უნდა განხორციელდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით. (კანდიდატის სტატუსმეტრი, ღია საზოგადოების ფონდი, 2023წ, გვ.9)

მაია ბაქრაძე, რომელიც ამ რეფორმაზე აქტიურად მუშაობს, ამბობს, რომ ევროკომისიის მიერ მოწოდებული რეკომენდაციებში, განსაკუთრებით სასამართლო ნაწილში, სწორი აქცენტებია დასმული და საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი, იგი ფიქრობს, რომ ამ რეკომენდაციებში ნათლად ჩანს, რომ ევროკომისია პუნქტის შემუშავებისას დაეყრდნო ისევე როგორც თვითონ სასამართლო სისტემიდან მიწოდებულ ინფორმაციას, ასევე პარლამენტიდან მიწოდებულ ინფორმაციას და ასევე შეფასებებსა და ანგარიშებს, რომლებზეც არასამთავრობო ორგანიზაციები და

⁸ https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/twelve-priorities_en?s=221

საერთაშორისო ორგანიზაციები წლების მანძილზე მუშაობდნენ. ამ ყველაფრის გაანალიზებით, ევროკომისიამ საქართველოს საჭიროებებზე მორგებული, რეალისტური რეკომენდაცია გასცა. ექსპერტი ასევე იხსენებს შარლ მიშელის დოკუმენტსაც და ფიქრობს, რომ რეკომენდაციები თითქმის არ განსხვავდება და 12 პუნქტიანი გეგმა ამ დოკუმენტზეა დაშენებული.

3.4 სამოქმედო გეგმა

ევროკომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება დღეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან ამ ეტაპზე ჩვენს ევროკავშირში ინტეგრაციასთან შესაძლო ერთერთი ყველაზე დიდი გადადგმული ნაბიჯი სწორედ კანდიდატის სტატუსის მოპოვება იქნება, განსაკუთრებით დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში.⁹

სასამართლო რეფორმის რეკომენდაციის შესრულებისთვის ჩვენ გვაქვს განსაზღვრული ვადა, რომელიც გულისხმობს 2023 წლის ოქტომბერს.¹⁰ პირველ რიგში საინტერესოა, თუ რამდენად გონივრულ და მოსწრებად ვადად თვლიან ზემოაღნიშნულს ექსპერტები. მაია ბაქრაძე ამბობს, რომ შინაარსობრივად მოთხოვნები აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო, კანდიდატის სტატუსზე განაცხადი აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო, რადგან სხვა პუნქტებში, როგორცაა ძირითადად ეკონომიკური, გადახდის სისტემები და ა.შ. საკმაოდ კარგი პარამეტრები გვაქვს, ჩამორჩენა მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების თვალსაზრისით შეიმჩნევა. იგი ფიქრობს, რომ ნების არსებობის შემთხვევაში, ის დრო, რომელიც ევროკომისიამ მოგვცა, საკმაოდ ადეკვატურია, ასევე საჭიროა ფორსირებული მუშაობა ამ საკითხებზე. შესაძლოა პუნქტის ყველა ნაწილი და წერტილი ვერ შევასრულოთ, თუმცა მნიშვნელოვანია სვლა და მცდელობა დავანახოთ დასავლეთს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ თავად ექსპერტი მუშაობდა პარლამენტის ჯგუფში სასამართლო რეფორმის პუნქტზე, ამბობს, რომ ცვლილება მხოლოდ ცვლილებისთვის ხდება ამ ეტაპზე და ხელშესახები ძიერული და ამბიციური გარდაქმნები არ შეინიშნება, მხოლოდ პროცედურული ეტაპები.

⁹ რუსეთ-უკრაინის ომი, მოდლოვა-უკრაინა-საქართველოს ტრიო ერთდროულად მიიწევს ევროკავშირისკენ.

¹⁰ <https://www.radiotavisupleba.ge/a/31941995.html>

უპირველეს ეტაპად მიიჩნევა 20-21 წლის დეკემბრის ცვლილებების ანულირებას, რომელსაც საკმაოდ სწრაფად მოგვარებად საკითხად და მნიშვნელოვან ნაწილად თვლის, რადგან აღნიშნული მითითებული გვქონდა შარლ მიშელის დოკუმენტიც.

ერთერთი მთავარი მიღწევა, რომელიც რეკომენდაციის შედეგად სახელმწიფომ შეძლო, გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცედურასთან დაკავშირებით კონსენსუსია მთავარ და ოპოზიციურ პარტიებს შორის. მოლოდინის რეჟიმი გვაქვს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებებზე,¹¹ დანარჩენი პუნქტები კი ფაქტობრივად შეუსრულებელი გვაქვს და ჩვენი სამოქმედო გეგმაც სწორედ ამ პუნქტების მიხედვით უნდა გაიწეროს, კერძოდ, უნდა აირჩეს იუსტიციის საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრი, აქცენტი უნდა გაკეთდეს კორპორატივიზმის შემცირებასა და პლურალისტური გარემოს შექმნაზე საბჭოში, იუსტიციის საბჭოს ჯეროვანი რეფორმით, პოლიტიკურ პარტიებს შორის ინკლუზიური მუშაობა უნდა გახდეს შესაძლებელი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ნომინირებისა და დისციპლინირების პროცესში უნდა მოხდეს ცვლილებები და დაინერგოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მოსამართლეების ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაზრდა. (კანდიდატის სტატუსმეტრი, ღია საზოგადოების ფონდი, 2023წ. გვ.10).

მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაზრდა ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ეფექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში. „ჩვენ შეგვიძლია ბევრი ვისაუბროთ კანონმდებლობაზე და რეფორმაზე, მაგრამ დღეს კონსტიტუცია მოსამართლეს ეუბნება რომ ის არის დამოუკიდებელი, ის არის ხელშეუხებელი, რეალიზება კი უკვე მოსამართლეების საქმეა. რეალიზებაში იგულისხმება ბევრი რამ, პირველ რიგში თუ ვის ირჩევენ საბჭოში და რატომ, თუ კი მოსამართლე რაიმე სახის წნეხს განიცდის ეს აუცილებლად უნდა თქვას, რადგან გვაქვს კომუნიკაციის წესის სტანდარტი ქვეყანაში და ამ სტანდარტის

¹¹ გადაგზავნილია ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირში.

დარღვევების რაოდენობა ძალიან მწირია, შესაბამისად მოსამართლეებისთვის დავალების მიცემა ამ სტანდარტის დარღვევაა და ამაზე ხმამაღლა საუბარი მოსამართლეს შეუძლია. შესაძლოა არსებობდეს რაიმე სახის შიში, როდესაც მოსამართლის დამოუკიდებლობა ირღვევა, თუმცა როცა ადამიანი გადაწყვეტს რომ მოსამართლე იყოს, იგი მზად უნდა იყოს რომ ამ წნეხს გაუძლოს, საჭიროებისამებრ გაწიროს თანამდებობა და წავიდეს, თუმცა ამას არ აკეთებენ. მოსამართლეები თვითონ უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, თუ მოსამართლე თვითონ არ გადაწყვეტს რომ არის დამოუკიდებელი და აქტიური, არაფერი არ გამოვა, არანაირი კანონის შეცვლით. მათ უნდა ჰქონდეთ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი, თუ კი მოსამართლეები სწორად მოგვაწოდებენ ინფორმაციას რაიმე სახის შევიწროების შესახებ და ამაზე ღიად ისაუბრებენ, თუნდაც თანამდებობებს დატოვებენ, საზოგადოება მათ ღია მხარდაჭერას აუცილებლად გამოუცხადებს.“ -ამბობს ნაზი ჯანეზაშვილი.

საკმაოდ მნიშვნელოვანი და აღმოსაფხვრელი ნიუანსია, სასამართლო სისტემაში კორუფციული ფაქტების გამოსაძიებლად სპეციალური საგამომიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით პარტიებმა მიიღონ კონსენსუალური შეთანხმება და დაეთანხმონ ამ ინიციატივას, ეს განსაკუთრებით მიემართება საპარლამენტო უმრავლესობას, მმართველ პარტიას, რომლებიც მხარს არ უჭერენ საგამომიებო კომისიის შექმნას. (ღია საზოგადოების ფონდი, 12 პრიორიტეტის შესრულების მდგომარეობა, 2023წ.), განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეს სანქციები დაუწესა, კერძოდ კი ვიზები გაუუქმდათ, კორუფციული მნიშვნელოვანი გადაცდომებისა და დარღვევების გამო. (აშშ-მ 4 მოსამართლეს სანქციები დაუწესა, რადიო თავისუფლება, 2023წ.). ვფიქრობ, ეს პრეცედენტი შესაძლოა ნეგატიურად აისახოს რეფორმის შესრულების საბოლოო შეფასებაზე, თუ საკანონმდებლო ორგანო არ შექმნის სპეციალურ საგამომიებო კომისიას.

დასკვნა

შეჯამების სახით, შესაძლოა ითქვას, რომ ბოლო დეკადის მანძილზე საქართველოს მართლმსაჯულების სისტემამ ძალიან ბევრი ცვლილება განიცადა. ვერ ვიტყვით, რომ წლების მანძილზე სასამართლო რეფორმა ხელისუფლებისთვის ერთერთი მთავარი გამოწვევა არ ყოფილა და მმართველი ძალა უგულებელყოფდა ცვლილებების მნიშვნელობასა და აუცილებლობას. სამართლიანია ითქვას, რომ მცდელობები იმისა, რომ ქართული სასამართლო სისტემა იყოს მაქსიმალურად მიახლოებული ევროპულ დემოკრატიებთან, აშკარად იკვეთება. თუმცა, ვფიქრობ, მთავარი პრობლემა არა რეფორმირებაა, არამედ ცვლილებების პრაქტიკაში წარმატებით იმპლემენტაცია და შედეგის შენარჩუნება. ინტერვიუს მსვლელობის დროს ექსპერტებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ ევროინტეგრაციის თვალსაზრისით მართლმსაჯულების რეფორმას არ მოეთხოვება იყოს სრულყოფილი და უხარვეზო, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ დასავლეთს დაანახოს აღმავალი მრუდი, გაუმჯობესების ტენდენცია და ეს მიმართულება მაქსიმალურად შეინარჩუნოს. შესაძლოა ითქვას, რომ რეფორმების პროცესს სწორედ ეს აღმავალი მრუდი აკლია, რადგან ცვლილებები ზოგჯერ პოზიტიურია, ზოგჯერ ნეგატიურ გამოხმაურებას ჰპოვებს დასავლეთისგან. ხშირია შემთხვევები, როცა ვენეციის კომისია მკაფიოდ მიგვითითებს მნიშვნელოვანი ხარვეზებისა და აცდენებისკენ, თუმცა საბოლოოდ ყურადღება მეორეხარისხოვან და ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებს უფრო ენიჭება, ვიდრე მთავარ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი სისტემურობაა. ქვეყანა მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, რომ არ შეეღაბოს იმიჯი და რეპუტაცია, რასაც, მაგალითად, სანქცირებული მოსამართლეების არსებობა მნიშვნელოვნად ხელს უშლის. გარდაუვლად მნიშვნელოვანია სწორი სტრატეგია, სტრატეგიის შემუშავებისას ინკლუზიურობა, მრავალპარტიულობა, რაშიც დღეს ასე მოვიკოჭლებთ. ექსპერტები თანხმდებიან, რომ პროცედურული თვალსაზრისით რეკომენდაციების აღსრულება მარტივი და აბსოლუტურად დროში მოსწრებადი პროცესია, მთავარი კი მხოლოდ საერთო ნება და ერთობლივი ძალისხმევაა, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, ასევე პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თავად მოსამართლეების ძალისხმევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

„მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში“ - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021.

„სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება“ - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2019.

„კანდიდატის სტატუსმეტრი - 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების მდგომარეობა“ - ღია საზოგადოების ფონდი, 2023.

„საქართველოს სასამართლო სისტემის ნაკლოვანი რეფორმები და სისტემური ცვლილებების საჭიროება“ - ანა ჰაპუაშვილი, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის სახელით, თბილისი, 2022.

„საქართველო გარდამავალ პერიოდში“ - თომას ჰამარბერგი, 2013.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიში <https://tdy.lol/JzdJR>

“კოალიციის პოზიცია მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნასთან დაკავშირებით“ - კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე საქართველოსთვის.

Chronology of major events of EU – Georgia cooperation – Ministry of foreign affairs of Georgia

“The Process of European Integration Through the Lenses of Institutionalism” – Albert Hayrapetyan, 2020.

Grieco, Joseph M., and G. John Ikenberry. State Power and World Markets: The International Political Economy. New York: W.W. Norton., 2003

http://coalition.ge/index.php?article_id=144&clang=0

<https://civil.ge/ka/archives/497478>

https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/twelve-priorities_en?s=221

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31941995.html>

<https://osgf.ge/sharl-mishelis-dokumentis-shesrulebis-shefaseba/>